

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, სუფსის
ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის ზურაბ კუკულავას
მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ
ა ნ გ ა რ ი შ ი**

წარმოგიდგენთ 2018 წელს ჩემს, როგორც საკრებულოს წევრის და სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მაჟორიტარი დეპუტატის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს, რომელიც შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, პარტიამ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ წარმადგინა მაჟორიტარ კანდიდატად და გამარჯვების შედეგად გავხდი საკრებულოს წევრი.

მოგახსენებთ, რომ წარმომადგენლობითი ორგანოს ფუნქციონირებაში ჩართვა ჩემთვის არ იყო მარტივი, იმ პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, რასაც იმ ადამიანების მიერ მონიჭებული მანდატი მაკისრებს, რომელთაც ნდობა გამომიცხადეს. ანგარიშგება მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო პროცესია, რომელიც არა მარტო გაწეული საქმიანობის შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს შეიცავს, არამედ საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ, თუ რისი გავლენა შევძელით და რა შეიძლება დავგეგმოთ სამომავლოდ.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ვახორციელებდი საკრებულოს ორ მუდმივმოქმედ კომისიაში: 1) საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია; 2) საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია; ამავდროულად ვარ საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს თავმჯდომარის მოადგილე.

მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 20, როგორც რიგით, ასევე რიგგარეშე სხდომაში. დავესწარი საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომას 10-ჯერ, ხოლო საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომას 12-ჯერ.

როგორც საკრებულოს წევრი, აქტიურად ვმონაწილეობდი საკრებულოს მიერ კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების მიღება-დამტკიცებაში. გამოვყოფ რამდენიმე მნიშვნელოვან აქტს. საანგარიშო პერიოდში განხილული და დამტკიცებული იქნა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამები, მისი გაცემისა და მიღების წესი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებები და მისი დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, მოწონებული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სტიქიის პრევენციის მიზნით 2019 წელს განსახორციელებელი პროექტები, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებების მიწოდების მიზნით 2019 წელს განსახორციელებელი საჯარო შენობების მშენებლობა/რეაბილიტაციის პროექტები და ა.შ.

მე, როგორც სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის მკვიდრი და მაჟორიტარი დეპუტატი, აქტიურად ვიყავი ჩართული, რათა სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებულიყო მთელი რიგი ინფრასტრუქტურული პროექტები. 2018 წელს განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მოხდა გაზიფიცირება;
- რამზეს გოგუას სახლის წინ მილ-ხიდის მოწყობა;
- ახალსოფელში რკინიგზის მიმდებარედ რკინა ბეტონის ხიდის მოწყობა;
- სუფსაში ე. წ „ზდანებთან“ არსებული სანიაღვრე არხის გაწმენდა;

მინდა მოგახსენოთ, რომ საქართველოს მთავრობის მიერ აღდგენილი იქნა სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, სადაც სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულს სულ გამოეყო 92 000 ათასი ლარი, რომელიც დაიხარჯება სოფლის მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით.

გარდა ამისა, სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში დაგეგმილია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება:

- ტაბანათში რეგიონალური ფონდის გადაწყვეტილებით დაწყებულია წყლის სისტემის მოწყობა და გამრიცხველიანება;
- მუნიციპალური განვითარების ფონდის მხარდაჭერით სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში აშენდება საბავშვო ბაღი;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უშუალო გადაწყვეტილებით სუფსაში აშენდება ამბულატორია;
-

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით:

- ახალსოფელში მოეწყობა გარე განათება;

- ტაბანათში მოეწყობა გარე განათება;
- ჩქუნში სოფლის სასაფლაოზე მისასვლელ გზას ჩაუტარდება რეაბილიტაცია;
- ხიდმაღალაში მოეწყობა შიდა გზები;
- სოფელ გრიგოლეთსა და მალთაყვაში შეიღობება საერთო სასაფლაოს ტერიტორია;
- სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში მოეწყობა გარე განათების სისტემა და სკვერი;

როგორც საკრებულოს წევრს, შეხვედრები მქონდა ამომრჩევლებთან. მოთხოვნები ძირითადად შეეხებოდა სოციალურ დახმარებებს და ინფრასტრუქტურულ საკითხებს.

სოციალურ დახმარებებთან დაკავშირებით მოთხოვნების დაკმაყოფილება შეძლებისდაგვარად მოხდა მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამების ფარგლებში. სუფსის ადმინისტრაციული ერთეულში:

- მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამით ისარგებლა - 17-მა ბენეფიციარმა (2795,55 ლარი);
- სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამით ისარგებლა - 11 ბენეფიციარმა (2844 ლარი);
- ერთჯერადი დახმარება გაეწია - 15 ბენეფიციარს (2450 ლარი);
- დიალეზის პროგრამაში ჩართულია -6 ბენეფიციარი (144 ლარი თითოეულს);
- მრავალშვილიანი ოჯახების პროგრამაში -4 ბენეფიციარის ოჯახი;
- სარეზერვო ფონდიდან დახმარება გაეწია - 3 ბენეფიციარს;
- ქირავნობის პროგრამაში ჩართულია -2 ბენეფიციარი;
- ყოველთვიურ დახმარებას იღებს - ომის 3 ვეტერანი;


რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ საკითხებს, სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიით გამოწვეული ზარალის სალიკვიდაციო ღონისძიებების შედეგად სახლის სახურავი მასალით უზრუნველყოფილი იქნა 38 მოქალაქე, ხოლო სახლის სახურავის სრული აღდგენა განხორციელდა ერთი მოქალაქისთვის. გარდა ამისა, ორ ბენეფიციარს დახმარება გაეწია სახლის აღდგენასთან დაკავშირებით, ხოლო ერთ მოქალაქეს გადაეცა საცხოვრებელი სახლის აივნის მასალა.

მოგეხსენებათ, რომ მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლა. 2018 წელს სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში შეწამვლითი სამუშაოები 4 ეტაპად ჩატარდა, რომლის შედეგად შეიწამლა საყანე ფართობები და საკარმიდამო ნაკვეთები. განხორციელდა როგორც წერტილოვანი შეწამვლა, ასევე -თერმული ნისლით დამუშავება. ზემოაღნიშნული ღონისძიებების გატარების შედეგად საგრძნობლად შემცირდა აზიური ფაროსანას რაოდენობა და ვფიქრობ, რომ ეს პროცესი კიდევ უფრო შედეგიანი იქნება მომდევნო წლებში.

მინდა მადლობა გადავუხადო საკრებულოს ყველა წევრს აქტიური თანამშრომლობისათვის და ასევე, საკრებულოს აპარატს. მე, როგორც საკრებულოს წევრი და მაჟორიტარი დეპუტატი, გავაგრძელებ აქტიურ მუშაობას როგორც მუნიციპალიტეტის

საკრებულოში, ასევე ამომრჩევლებთან და ყველა ღონეს ვიხმარ, რათა ჩემი სადეპუტატო უფლებამოსილების პერიოდში შესაძლებლობიდან გამომდინარე გადაწყდეს ყველა ის პრობლემა, რომელიც აწუხებს სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას.

ზურაბ კუკულავა



ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე
ფრაქცია "ქართული ოცნება-მრეწველები"